აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 46

21/10/2016 წელი **ქ. ბათუმი**

ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმების
გამოყენების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტურში გამოიყენება ის საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები რაც დადგენილი იყო საქართველოს პარლამენტისა და უმაღლესი საბჭოს არჩევნების პირველ ტურში, თუ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

სოფიო კახაძე

კომისიის მდივანი